



ძვირფასო მომხმარებლებო,

მოგახსენებთ, რომ არაუგვიანეს ამა წლის 24 დეკემბრიდან სს პროკრედიტ ბანკის საკრედიტო პორტფელის ნაწილი გადაეცა სს საქართველოს ბანკს.

სს პროკრედიტ ბანკის ის მომხმარებლები, რომელთა მიმართ სახელმეკრულებო მოთხოვნები და უფლებები გადაეცა სს საქართველოს ბანკს, საკრედიტო ვალდებულებების და საგარანტიო ხელშეკრულებებიდან წარმოშობილი ვალდებულებების შესრულებას უზრუნველყოფენ შესაბამისი საკრედიტო ხელშეკრულებების და საგარანტიო ხელშეკრულებების პირობების შესაბამისად, აღნიშნული ხელშეკრულებების სტანდარტული პირობები (დამატებითი პირობები) მომხმარებლებს ასევე შეუძლიათ იხილონ სს საქართველოს ბანკის ვებ გვერდზე - www.bankofgeorgia.ge.

ზემოაღნიშნული მომხმარებლები ისარგებლებენ სს საქართველოს ბანკში დადგენილი საბანკო მომსახურების სტანდარტული პირობებით და ტარიფებით, რომლებიც მოცემულია სს საქართველოს ბანკის ვებგვერდზე - www.bankofgeorgia.ge, გარდა ქვემოთ მოცემული გამონაკლისი პირობებისა.

თუ სს საქართველოს ბანკის მიმართ მომხმარებლებს ერიცხებათ ვადაგადაცილებული საკრედიტო დავალიანება, სს საქართველოს ბანკი მოახდენს შესაბამისი საბანკო ანგარიშების დაჭაჭმნას და დავალიანების დაფარვას (ნებისმიერ საბანკო ანგარიშზე ხელმისაწვდომი ნაშთის არსებობის/წარმოშობის შემთხვევაში).

თუ საქართველოს ბანკის მიმართ მომხმარებლებს ერიცხებათ საოპერაციო სერვისებით მომსახურების საკომისიოს დავალიანება, სს საქართველოს ბანკი მოახდენს აღნიშნული საკომისიოების გადახდის გადავადებას 2017 წლის 26 იანვრამდე.

სს პროკრედიტ ბანკის იმ მომხმარებლებზე, რომლებსაც საკრედიტო ვალდებულებების სს საქართველოს ბანკში გადმოტანის მომენტისთვის არ ექნებათ სს საქართველოს ბანკის აქტიური ანგარიში გავრცელდება შემდეგი პირობები:

- სს საქართველოს ბანკში საკრედიტო ვალდებულებების გადმოტანიდან 1 (ერთი) წლის განმავლობაში, სს პროკრედიტ ბანკიდან გადმოსული ფიზიკური პირების კრედიტის მომსახურე ანგარიშის გახსნა იქნება უფასო და ასევე აღნიშნულ ანგარიშზე მფლობელები გათავისუფლდებიან ანგარიშის მომსახურების ყოველთვიური საკომისიოს გადახდისაგან (მხოლოდ ერთი ანგარიში რომელიც საჭირო იქნება სესხის მომსახურებისთვის) შემდეგ იმოქმედებს საქართველოს ბანკში დადგენილი სტანდარტული ტარიფები;
- იურიდიული პირებისა და ინდივიდუალური მეწარმეების შემთხვევაში სესხის მომსახურე ანგარიშის გახსნა იქნება უფასო (მხოლოდ ერთი ანგარიში რომელიც საჭირო იქნება სესხის მომსახურებისთვის) შემდეგ იმოქმედებს სს საქართველოს ბანკში დადგენილი სტანდარტული ტარიფები;

სს პროკრედიტ ბანკიდან გადმოსული არსებული კრედიტებიდან გამომდინარე ვალდებულებების დაფარვა შესაძლებელი იქნება საქართველოს ბანკის სერვისცენტრებში;

პატივისცემით,
სს „საქართველოს ბანკის“ ადმინისტრაცია